საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

ახალციხის სერვის ცენტრი

N 6890/32/01
12/11/2014

6890-32/01-2-201411121723

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

## ობიექტის წყალსადენის ქსელზე მიერთების ტექნიკური პირობა

1, მისამართი: ქ. ახალციხე რუსთაველის ქ.#113. (საკადასტრო კოდი #62,09,53,633).

2, ობიექტის დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

3. მოთხოვნა წყალზე: 100,0 კბმ/დღ.ღ

წნევა წყალსადენის ქსელში: 2,0 ატმ

4. ქალაქის წყალსადენთან მიერთების წერტილი: რუსთაველის ქუჩაზე გამავალ დ-300 მმ-იანი ქსელიდან წყლის ხარჯის შესაბამისი გარე დიამეტრის მილით (არაუმეტეს 90 მმ) ჭისა და აღრიცხვის კვანძის მოწყობით. წყალსადენის ქსელზე მიერთების ადგილას მოეწყოს ჭა, ხოლო ჭაში საპროექტო განშტოებაზე დამონტაჟდეს ურდული. ობიექტის კუთვნილ ტერიტორიაზე (აღრიცხვის კვანძის) მოწყობის შემდეგ, მოეწყოს შესაბამისი მოცულობის რეზერვუარი. რეზერვუარში გათვალისწინებულ უნდა იქნას სასმელი წყლის მარაგი. ობიექტის კუთვნილ ტერიტორიაზე (რეზერვუარის მოწყობის შემდეგ) დამონტაჟდეს შესაბამისი პარამეტრების ტუმბო აგრეგატი.

ობიექტის საპროექტო განშტოებაზე მოეწყოს (არაუმეტეს 50 მმ) აღრიცხვის კვანძი ობიექტის კუთვნილი ტერიტორიის საზღვარზე. მრიცხველი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ და გამოსაყენებად დაშვებულ მრიცხველის ნუსხაში მოყვანილ ტიპს.

5. წყალარინების ქსელზე მიერთების წერტილი: ------------------------------------------------------------------------

6. წყალარინების ქსელში ჩამდინარე სითხის დასაშვები მოცულობა: ------------------------------------ კბმ/დღ.ღ

7. დამატებითი პირობები: აღნიშნული ტექნიკური პირობა წარმოადგენს პროექტირების საფუძველს და არ იძლევა წყალსადენის ქსელზე მიერთების უფლებას. მიერთების პროექტი და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს კომპანიასა და განმცხადებელს შორის ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში განმცხადებელი თავად უზრუნველყოფს მიერთების პროექტის შედგენას, რომელიც უნდა შეთანხმდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-სთან ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს უზრუნველყოფს საკუთარი ან სხვა სამშენებლო საწარმოს მეშვეობით. წყალსადენის ქსელზე მიერთება და მიერთების სამუშაოებზე

ზედამხედველობა უნდა მოხდეს მხოლოდ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანი“-ის მიერ შეთანხმებული მიერთების პროექტის და სათანადო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. უნებართვოდ მიერთების შემთხვევაში გატარებულ იქნება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ტექნიკური პირობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

პატივისცემით,

გიორგი დალალიშვილი

სერვის ცენტრის მენეჯერი

ახალციხის ადმინისტრაცია